2026 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი

ხშირად დასმული შეკითხვები

1. აუცილებელია თუ არა, რომ კონკურსში მონაწილე დოქტორანტი იყოს საქართველოს მოქალაქე?

პასუხი: საგრანტო კონკურში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, ან უცხოეთში მცხორებ თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. აუცილებელია თუ არა, რომ პროექტში მითითებული და უნივერსიტეტში დამტკიცებული დისერტაციის ხელმძღვანელ(ებ)ი და თანახელმძღვანელ(ებ)ი იყვნენ ერთიდაიგივე პირები? თუ შესაძლებელია პროექტში ამ სტატუსით სხვა პირების ჩართვა?

პასუხი: დიახ, აუცილებელია რომ პროექტში მითითებული და უნივერსიტეტში დამტკიცებული დისერტაციის ხელმძღვანელ(ებ)ი და თანახელმძღვანელ(ებ)ი იყვნენ ერთიდაიგივე პირები.

3. პროექტში ჩართული დისერტაციის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის და კონსულტანტის CV-ები მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი? და ქართულენოვან CV-ში შესაძლებელია გარკვეული ინფორმაცია იყოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე?

პასუხი: თუ აღნიშნული პირები არიან საქართველოს მოქალაქეები, მათი CV-ები წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ ენაზე (GMUS-ის ფორმით), ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე (GMUS-ის ფორმით). **ქართულენოვან CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე და თან უნდა ახლდეს შესაბამისი ქართული თარგმანი.** ინგლისურენოვან CV-ში ეს ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურად (შესაძლებელია ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითება).

4. უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ფარგლებში, აუცილებელია თუ არა, დოქტორანტს ჰყავდეს კონსულტანტი? და თუ უცხოეთში ვიზიტი არ იგეგება, მაინც აუცილებელია კონსულტანტის ყოლა?

პასუხი: კვლევითი ვიზიტის ფარგლებში, დიახ, კონსულტანტის ყოლა აუცილებელია, იგი შეიძლება იყოს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ფიზიკური პირი. სხვა შემთხვევაში კონსულტანტის ყოლა ნებაყოფლობითია.

5. უცხოელი კონსულტანტის შემთხვევაში, თუ ვებ გვერდი მივუთითეთ, ცნობა სამსახურიდან მაინც აუცილებელია რომ ავტვირთო?

პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ ვებ-გვერდიდან დასტურდება "მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია", საკმარისად ჩაითვლება. სხვა შემთხვევაში, საჭიროა მისი დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნული იქნება კონსულტანტის აკადემიური ხარისხი და პოზიცია - 2026 წლის მდგომარეობით.

6. საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის ცნობა სამსახურიდან სად უნდა ავტვირთო?

პასუხი: საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის ცნობა სამსახურიდან იტვირება უშუალოდ პროექტში, „საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის“ ინფორმაციის შევსებისას.

7. უცხოელი კონსულტანტი როდესაც გამომიგზავნის CV-ს ინგლისურად, ასევე თანხმობის წერილს ინგლისურად, საკმარისია თუ არა ქართულად CV და თანხმობის წერილი თავად გადავთარგმნო თუ ნოტარიულად დამოწმებაც აუცილებელია?

პასუხი: CV-ის ქართული თარგმანის დამოწმება თარჯიმანთა ბიუროს მიერ აუცილებელი არ არის. რაც შეეხება თანხმობის წერილს, მისი ქართული თარგმანის დამოწმება თარჯიმანთა ბიუროს მიერ აუცილებელია.

8. უცხოეთში კვლევითი ვიზიტის შემთხვევაში, საჭიროა იმ უნივერსიტეტის თანხმობა წერილობითი ფორმით, სადაც განვახორციელებ კვლევით ვიზიტს თუ მხოლოდ კონსულტანტის თანხმობის წერილია საკმარისი?

პასუხი: საკმარისია მხოლოდ კონსულტანტის თანხმობის წერილი.

9. შესაძლებელია თუ არა შეჩერებული სტატუსით მონაწილეობის მიღება კონკურსში?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა უნდა გაიაქტიუროს სტუდენტის სტატუსი.

10. აუცილებელია თუ არა გამარჯვების შემთხვევაში დოქტორანტს სტუდენტის აქტიური სტატუსი ჰქონდეს მთელი პროექტის განმავლობაში? თუ მხოლოდ 2026 წლის შემოდგომის სემესტრშია აუცილებელი სტუდენტის სტატუსის გააქტიურება?

პასუხი: სტუდენტის აქტიური სტატუსი საჭიროა დოქტორანტს პროექტის დაწყებიდან დასრულებამდე უწყვეტად ჰქონდეს, ამავდროულად დოქტორანტმა სტუდენტის აქტიური სტატუსის ცნობა ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინოს, პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებთან ერთად.

11. სავალდებულო არის თუ არა რომ სადისერტაციო თეზისის დამტკიცებული სათაური და პროექტის სათაური იყოს იდენტური?

პასუხი: აუცილებელი არ არის, რომ პროექტის სათაური იყოს იდენტური დისერტაციის თეზისისა, თუმცა, აუცილებელია, რომ თემატიკა იყოს იგივე, რათა შეძლოთ პროექტის ფარგლებში დადეგმილი აქტივობებისა და ვალდებულებების შესრულება.

12. შეიძლება თუ არა პროექტში გავითვალისწინოთ ხელმძღვანელის უცხოეთში კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები?

პასუხი: დოქტორანტურის საგანმანათლებლო-კვლევითი გრანტი არის ინდივიდუალური გრანტი, შესაბამისად, გრანტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ დოქტორანტი. პროექტი არ ითვალისწინებს ხელმძღვანელის უცხოეთში კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯებს.

13. გრანტის ფარგლებში ანაზღაურდება თუ არა პროექტის მომზადებისთვის საჭირო ხარჯები?

პასუხი: ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს

14. აუცილებელია თუ არა ბიუჯეტის ყველა ხარჯვითი კატეგორიიდან მოთხოვნილი მქონდეს თანხა?

პასუხი: არ არის აუცილებელი. იმ ხარჯვით კატეგორიაში, რომელშიც არ ითხოვთ თანხას, მიუთითეთ ნული ლარი.

15. GMUS-ში ბიუჯეტის შევსებისას საჭიროა თუ არა „დოქტორანტის სტიპენდიას“ ჰქონდეს დასაბუთება?

პასუხი: არა, დოქტორანტის სტიპენდია დასაბუთებას არ საჭიროებს.

16. საიდან იწყება საანგარიშო პერიოდის ათვლა?

პასუხი: საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

17. სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილი პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ საჭიროა თუ არა წარმოვადგინო იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელშიც ვსწავლობ?

პასუხი: არა, არ არის საჭირო.

18. როგორ უნდა გამოვთვალო ჩემი პროექტის ხანგრძლივობა (საანგარიშო პერიოდები) და ფონდიდან მოთხოვნილი თანხა სწორად?

პასუხი: პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობისა და ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური თანხის განსასაზღვრად, აუცილებელია იხელმძღვანელოთ თქვენი უნივერსიტეტიდან გაცემული "ცნობით დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ" (დანართი 9), სწორედ ცნობაში მითითებულ სტუდენტის სტატუსსა და სემესტრს უნდა შეუსაბამოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი (იხილეთ კონკურსის პირობების მე-3 მუხლში მოცემული ცხრილი).

19. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო იმაზე ნაკლები ხანგრძლივობისა და ბიუჯეტის მქონე პროექტი, ვიდრე ამის უფლებას მაძლევს ჩემი მიმდინარე სასწავლო სემესტრი და სტუდენტის სტატუსი?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. შეზღუდვა შეეხება მხოლოდ მაქსიმალური ხანგრძლივობის პროექტსა და პროექტის მაქსიმალურ ბიუჯეტს.

20. შესაძლებელია თუ არა, რომ კანცელარიაში წარმოსადგენი განცხადება დოქტორანტის ნაცვლად სხვა პირმა შემოიტანოს?

პასუხი: დიახ, კონკურსის პირობების შესაბამისად სათანადოდ დამოწმებული და ხელმოწერილი განცხადება შეუძლია წარადგინოს სხვა პირმა.